# AQUAPOINT LLC

**საქართველოს გარემოს დაცვისა და**
**სოფლის მეურნეობის მინისტრს**
**ბატონ ოთარ შამუგიას**

**N 041/22**

**21 აპრილი 2022**

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს „აკვაპოინტი" გეგმავს რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხოფურსა და სოფ. ნანარს შორის, მდინარე ხოფურზე 5.22 მგვტ. სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგური „ხოფური 1 ჰესი"-ს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტს.

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის (5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია) თანახმად გათვალისწინებული საქმიანობა ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის, და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე, შპს „აკვაპოინტ"-მა მოამზადა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხოფურზე 5.22 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხოფური 1 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, **კომპანიამ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარუდგინა სამინისტროს შესაბამისი დოკუმენტაცია 2022 წლის 7 მარტს (სამინისტროს რეგისტრაციის N 4733).**

2022 წლის 10 მარტის N 2295/01 წერილის საფუძველზე, გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სამინისტრომ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე, ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმდინარე წლის 10 მარტის N 2295/01 წერილის მოთხოვნების შესაბამისად, შპს „გერგილმა" მოამზადა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხოფურზე 5.22 მგვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (ხოფური 1 ჰესი) მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განახლებული სკოპინგის ანგარიში.

გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

№ 10301
26 04 2022
02

## AQUAPOINT LLC

**წერილს თან ერთვის:**

- სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლარი;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - 1 CD;

პატივისცემით,


შპს „აკვაპოინტი"-ს დირექტორი

ზურაბ სამსონიძე

z.samsonidze@gmail.com

+995591211541